№ 27 თებერვალი 4, კვირა 1890 თებერვალი 4, კვირა № 27

| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი“**

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილა პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს,

ბენეფისი

ქ. ს. მესხისა.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა:

**რუსთაველი**

ოთხ-მოქმედებიანი პიესა კ. მესხისა. რუსთაველის როლს აასრულებს კ. მესხი.

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ-ნნი მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 6 თებერვალს,

ბენეფისი

ნ. მ. გაბუნიასი.

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**დავიდარაბა**

კომედ. 3 მოქმედ. გად. ერისთავისა

II

პირველად

მე მინდა კნეინა გავხდე

ფარსი-კომედია 2 მოქმედებად თხზ. ზ. ანტონოვისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლის, საფაროვისა, მელიქიშვილისა, ჩერქეზიშვილსა; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანიშვილი და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 3 თებერვალი

დიდი ხანია ისმოდა საზოგადოებასა საერთოდ და საეკლესიო სამრევლოებში ცალკე ჩივილი, რომ ეკკლესიების შემოსავალ-გასავალი, მარტო ეგრედ-წოდებულ „მნათეების“ (Староста) ხელშია და ამის გამო თუ არ ხშირად, ზოგჯერ მაინც ამ შემოსავალ-გასავლის ანგარიშში ბევრი ბოროტ-მოქმედობა აღმოჩენილა. ეს მით უფრო საყურადღებო საქმეა, რომ ეგ შემოსავალ-გასავალი ეკკლესიებისა როგორც მთელს იმპერიაში, ისე ჩვენში საქართველოს საეგზარხოსოში კარგა დიდს ფულს უნდა შეადგენდეს. ამ ჩივილმა, როგორც ეტყობა, უმაღლეს მთავრობამდისაც მიაღწია და უწმინდაესმა სინოდმა იცნა სიმართლე ჩივილისა და მასთან ისიცა, რომ მნათეების ხელში დარჩენა ამ შემოსავალ-გასავლისა არაფერს კეთილს არ მოასწავებს შემდეგისათვისაც. ამიტომაც ჯერ კიდევ 1880 წელს შედგენილ იქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იყო ეხლანდელი ეგზარხოსი საქართველოსი, ყოვლად უსამღვდელოესი პალლადი, რომელიც მაშინ განაგებდა ყაზანის ეპარქიას.

ამ კომისიას მინდობილი ჰქონდა ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე უკეთესს საფუძველზედ დაეყენებინა და იმისთანა წესი და რიგი დაედგინა, რომ ქონებას ეკკლესიებისას ზედ-მიწევნილი ზედამხედველობა და თვალ-ახილებული კონტროლი ჰქონოდა. დღეს რუსეთის გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ კომისიის პროექტი, უკვე დიდი ხანი შემუშავებული და დასრულებული, ამ ახლო ხანში დანიშნულია განსახილველად სინოდში. აღიარებულია თურმე, რომ დღეს აქამომდე ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის საქმე იმიტომ ვერ მიდიოდა კარგად, რომ ამ საქმეს განაგებდა მარტო ერთი მნათე ეკკლესიისა და ამაში იგი არც არავის ეკითხებოდა და არც არავის ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარებოდა. ამის გამო ბოროტად მოხმარება ეკკლესიის შემოსავალ-გასავლისა ხშირი იყო, ნამეტნავად ქალაქების ეკკლესიებში.

კომისიას უპოვნია რა სამართლიანად ეს მიზეზი, დაუდგენია, რომ ყოველ ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნას სამრევლო საბჭო, ანუ გამგეობა და ამ გამგეობას ჩაებაროს შემოსავალ-გასავლის საქმე ეკკლესიისა და ერთობ მისი ქონება. წევრნი ამ საბჭოსი, თუ გამგეობისა ამორჩეულ უნდა იყვნენ მრევლის მიერ წინადვე დანიშნულ ვადით და თავმჯდომარედ უნდა იქმნეს წინამძღვარი ეკკლესიისა. ხოლო ეკკლესიის მნათენი მარტო აღმასრულებელნი იქმნებიან ყოველ იმისი, რაც გამგეობისაგან იქმნება განჩენილი და დადგენილი. ყოველივე სახარჯო ეკკლესიის შეკეთებისა და განკარგებისა ამ საბჭოსაგან წინადვე დამტკიცებულ უნდა იქმნას და როგორც ხარჯსა, ისეც თითონ შეკეთებას, თუ განკარგებას თვალი უნდა ადევნოს იმ ცალკე წევრმა საბჭოსამ, რომელსაც ამისათვის ამოირჩევს და დანიშნავს საბჭო.

თუ ეს პროექტი კომისიისა უწმინდაესის სინოდისაგან დამტკიცდა, უეჭველია, საეკკლესიო ქონებას რიგიანი პატრონი და მომვლელი აუჩნდება და საქმეც უკეთესად დაეწყობა, პირველი მით, რომ იგი მარტო ერთის კაცის ხელში არ იქმნება ანგარიშ ჩამოურთმევლად, როგორც აქამდის იყო, და მეორე მით, რომ საბჭო, როგორც რამდენისამე კაცის კრებული, ამორჩეული თვით მრევლისაგან, რაც გინდ იყოს, მაინც უკეთ განაგებს საეკკლესიო შემოსავალ-გასავლის საქმეს, თუნდ იმ ანდაზის ძალით, რომ ერთი ჭკუა კარგია და ორი უკეთესიო. სასურველია, რომ უწმინდაესმა სინოდმა დაამტკიცოს ხსენებული პროექტი და ამით წესიერს გზაზედ დააყენოს ეკკლესიების შემოსავალ-გასავლის და ერთობ ქონების საქმე.

## ახალი ამბავი

*** დღეს დანიშნულია ბენეფისი ქუთაისის სათეატრო დასის მოთავე-

## ფელეტონი

### გზადაბნეული ბატები და ორ-გროშიანის ამბავი.

დადგა შემოდგომა. ხეს ფოთოლი სცვივა. ტყე და მინდორი დაცარიელდა. აგერ მაღლა გამწკრივებულან და ქვეილ-ხივილით, ყივ-ყივით მიემგზავრებიან სამხრეთისკენ წეროები, გარეული იხვები, გარეული ბატები...

აგერ სოფელიც აიშალა, და გაივსო ჩვენი ქალაქი... არ გეგონოთ-კი, მკითხველო, ვითომ წეროებით, გარეულ იხვებით და გარეულ ბატებით... არა, ქალაქს ჩამოესახლნენ ბარძიმები, იორამები და ზაალები...

მაკვირვებს ეს ამბავი! წეროები, გარეული იხვები და ბატები რომ სამხრეთისკენ მიდიან, მესმის: ჩვენს სიცივეს ვერ აიტანენ და ცხელ ქვეყნებში უნდა მოიზამთრონ. ამათ გადასახლებას მიზეზიცა აქვს და აზრიც. ხოლო რა აზრი აქვს ჩვენ შინაურ წეროებისა და გზა-დაბნეულ ბატების გადმოსახლებას, დიდი ხანია თავს ვიმტვრევ და ვერ მიმხვდარვარ...

დღეს-კი მივხვდი. ამ დღეებში შემხვდა ქუჩაში ერთი ამისთანა გზა-დაბნეული ბატი, რომელსაც სახელად თუ გინდ ბარძიმი დავარქვათ. მიდის გაჩქარებული. სწორედ დიდი რამ საქმე უნდა ჰქონდეს. მაინც გამოვეხმაურე.

— გამარჯობა, ბარძიმ!

— გაგიმარჯოს! შენა ხარ?

— რისთვის გარჯილხარ? ან ასე გაჩქარებული სად მიეშურები?

— საქმე მაქვს საჩქარო.

— მაინც? საიდუმლო ხომ არ არის?

— შენთან რა მაქვს საიდუმლო,— გადიხარხარა ბარძიმმა: ბანკში მივეჩქარები, მამული მინდა დავაგირაო. გამომემშვიდობა და გაჩქარებით წავიდა.

ამ ამბავმა გული ისეთის სიხარულით ამივსო, რომ კინაღამ უკან არ დავედევნე ბარძიმას, მინდოდა გადავხვევნოდი და მეთქვა:

— აბა, ჩემო ბარძიმ! ვინძლო ყოჩაღად იყო! დააგირავებ მამულს, აიღებ ფულს, დაჰბრუნდები სოფელში, დასტრიალდები, ფულს მამულში ჩაჰყრი, გააკეთებ, გაჰკეთდები, დატრიალდება უფლის თვალი შენს სახლში,—მტერს თვალს დაუყენებ, მოკეთის გულს გაახარებ...

გავიდა სულ რამდენიმე დღე ამ ამბის შემდეგ. კვირა დღე იყო. უსაქმოდ დავხეტიალობდი ქუჩაში. მომწყინდა და ერთს რესტორანში შევიარე, ნაცნობს ვისმე ვნახავ-მეთქი. შევედი. შევედი და ჩემს ყურს მოესმა ერთი საშინელი ღრიანცელი და ჩვენი ერთგული, დაუვიწყარი, მანუგეშებელი:

ყანწით გვსამ ღვინოს, თქვენს სადღეგრძელოს,
და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!..

რა ვქნა, ეს რა მესმის? ბარძიმის ხმა? ყური ხომ არ მატყუებს? სულმა წამძლია და შევიხედე იმ ოთახში, საიდამაც „საქართველოს გამარჯვება“ მოისმოდა. შევიხედე და რას ვხედავ: დიახ, ის არის, ის... ათიოდე კაცი შემოსხდომია სუფრას და თავში ზის ჩემი ბარძიმი, ზის და როგორ ზის,— ყვენია, ყვენი ნიმდვილი, ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად...

— აბა, თუ შეგიძლიან, თავი მაღლე დაახწიე, ვეუბნები ჩემს თავს: თორემ თუ თვალი მოგკრეს, ვაი შენს დღეს.

რა დაგიმალო, მკითხველო, ისე არაფრისა მეშინიან ქვეყანაზე და ისე არაფერს ვერიდები, როგორც ამ ბარძიმ იორამ-ზაალებს, როცა „ყანწით ვსამ ღვინოს“ გაიძახიან. ხომ მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ მამა-პაპეული იარაღი დღესაც შეგვრჩენია, დაგვიკარგავს მხოლოდ მამა-პაპის რაინდობა და აღარც ის გვახსოვს, როდის და რისთვის ჰხმარობდა ჩვენი მამა-პაპა იარაღს.

ის იყო დავაპირე გამოპარვა, რომ მომესმა საშინელი ხმა, თითქოს ერთად „აყვირდნენ ყველა საყვირნი იერიქოსანი“:

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! გაისმოდა დ..დხანს ხმა. ყურები გამომიჭედეს, აღარა მესმოდა-რა. გონს რომ მოვედი, ხელში ჭიქა მეჭირა და მეც სხვებთან ერთად გავიძახოდი: „და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!“

როგორ არ ავყოლოდი, როდესაც დავრწმუნდი, რომ ესენი გულწრფელად ამბობდნენ საქართველოს გამარჯვებას. მეტი გამარჯვება-ღა გინდათ: ზოგიერთ ომში ამდენი ჯარი არ გაწყდება, რაც ამათ ბოთლი გაეწყოთ...

აღარ მახსოვს, როგორ მოხდა და ღმერთს-კი დიდი და გულწრფელი მადლობა შევწირე, რომ თავი მშვიდობით დავაღწიე.

**

მეორე დღეს ბარძიმის მეუღლეს შევხვდი. ის იყო მაღაზიიდამ გამოდიოდა. ხელში წვრილმანი რაღაცა ეჭირა. უკან ბიჭი მოსდევდა, ჩალვადრის ცხენივით დასაპალნული.

— კარგია ამ ზამთარში გაგიბედნიათ ქალაქში ჩამოსვლა? —ვკითხე ბარძიმის მეუღლეს სალამს შემდეგ.

— ეგ არის, რომ თქვენ არ გვაღირსეთ და არა გვნახეთ, თორემ ჩვენ დიდი ხანია აქა ვართ. მთელის სახლობით ჩამოვედით. ჩემი ქმარი გეტყოდათ?

— მაღაზიებს ალარიბებთ? გადვუსხვაფერე ლაპარაკი.

— მაშ, როგორ იქნება? იმათ პატრონებსაც ცხოვრება უნდათ! —გაიცინა და მერე ისევ დინჯად მითხრა: ზოგი ოჯახისათვის ვიყიდე, ზოგი კიდევ ჩემთვის, დღეს თეატრში ვაპირებ წასვლას, ძლივს მეღირსა და აბა თქვენა გკითხავთ, ამ კაბით ხომ ვერ წაველ, სოფლელ ოტროველს რომ ვგევარ.

— ოჰ, რასაკვირველია, როგორ შეიძლება!

— აი მაგაში მომწონხართ, ქალაქელები, რომ ყველაფრის გაგება გაქვთ. ჩემს ჯიუტს ქმარს ძლივს დავაწერინე პირჯვარი.

— მიკვირს! მაგრამ უნდა მოგახსენოთ-კი, რომ ხანდახან აქაურმა ქმრებმაც იციან მაგისთანა გაჯიუტება, მეტადრე თუ ჯიბეზე ცოტა მწყრალად არიან.

— რას მიბრძანებთ? ეგ არ მაცეცხლებს: სულ ერთი კვირა არ იქნება, რაც ბანკში მამული დავაგირავეთ, და კიდევ იძახის, ფული აღარა მაქვსო...

გამოვემშვიდობე და დავპირდი, თეატრში გნახავთ-მეთქი.

საღამოს თეატრში წავედი. ბარძიმის მეუღლეს დავუწყე ძებნა. ძლივს ვიცან. ღმერთო ჩემო, რა ნაირად გმოაკმაზულ-გამოპრანჭულა! ვინ იტყვის, სოფლელიაო? სოფლის ნიშანწყალიც აღარ ატყვია. იცოდეს ფულმა!

სი, არტისტის კ. მესხისა, რომელიც, აგერ თითქმის ერთი თვეა, აქაურ ქართულს სცენაზე თამაშობს და რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან ბ-ნი კ. მესხი წინადაც დიდხანს ემსახურებოდა ტფილისში ქართულს თეატრს. წარმოსადგენად დანიშნულია მისივე საკუთარი ახლად დაწერილი ოთხ-მოქმედებიანი პიესა: „შოთა რუსთაველი“.

*** პარასკევს, 2 თებერვალს, სამეგრელოს პოლკის ეკკლესიაში აკურთხეს საეკკლესიო დროშანი ოქროში დაფერილის ბრინჯაოსი, რომელიც ამ პოლკის აფიცრობამ შეიძინა მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა ხასწაულებრივის გადარჩენის სახსოვრად. დროშანი მშვენიერად არის შემკობილი სლავიანურის გემოვნების ჩუქურთმებით. დროშების შეძენაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე დივიზიის უფროსმა და ბრიგადის კომანდირმაც. კურთხევის შემდეგ, პარაკლისის გადახდამდე, პოლკის მღვდელმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. ეკკლესიაში იყო მგალობელთა გუნდი, რომელთა შორის იყვნენ აფიცრებიცა და ჯარის-კაცნიც. დროშათა კურთხევასა და პარაკლისს დაესწრო კომანდირი ბრიგადისა, რომელმაც შემდეგ პარაკლისისა რაზმად დაწყობილს ჯარს სალამი მისცა და საცერემონიო მარშით გაატარა თავის წინაშე.

*** ყველიერის ხუთშაბათს, რვას ამ თვეს, ღირსის მამის შიო მღვიმელის დღეობას შიო მღვიმის მონასტერში მწირველი იქნება წინამძღვარი ამ მონასტრისა ეპისკოპოსი ალექსანდრე.

*** ამ თვის 1, ღამის ორ საათზე, ტფილისის რკინის გზის სადგურზე ყუთში აღმოაჩინეს მკვდარის კაცის გვამი. ეს საქმე აი როგორ მოხდა: ტფილისის სადგურზე პოლიციის მოხელემ მოლდარაშეილმა შეამჩნია, რომ უდროოდ დროგით რაღაცა მიიტანეს, მივიდა მედროგესთან და ჰკითხა, რა მოგიტანია დროგით ამ შუაღამისასაო. მედროგე მაშინვე გაიქცა და დაიმალა, მხოლოდ დროგს უკან მიმდევარი ქუთათურები: ივანე, ვლადიმერი და ვასილი თოთაძეები და სოლომონ პანჩულიძე-კი გაჩერდნენ. პოლიციის მოხელემ გამოჰკითხა, რა მოგიტანიათ ამ შუაღამისას დროგითაო. თოთაძეებმა და პანჩულიძემ უპასუხეს, რომ ქუთათურები ვართ და, როგორც ჰხედავთ, ყუთით ჩვენი „ბარგაჟი“ მოვიტანეთ, ხვალ დილით ადრიანად უნდა გავემგზავროთ ქუთაისშიაო. პოლიციის მოხელემ არ დაუჯერა ეს ლაპარაკი, ოთხივენი შეიპყრო, შეატყობინა ჟანდარმებს და როცა ყუთი ახადეს, შიგ აღმოჩნდა ვიღაცის გვამი, ჩალასა და ჭილობებში შეხვეული. ოთხივე დამნაშავე მაშინვე პოლიციაში წაასხეს და ყუთი მკვდარის კაცის გვამით რკინის გზის ლაზარეთში გაჰგზავნეს. მეორე დღეს ყუთიდგან ამოიღეს გვამი იმის შესამოწმებლად, რომ ძალადაა მოკლული, თუ არაო, და აღმოჩნდა, რომ ეს გვამი სიკვდილისაგან გარდაცვლილი კაცისა ყოფილიყო. ამავე დროს პოლიციის მე-10 განყოფილების ბოქაულმა გამოჰკითხა შეპყრობილებს, ვინ მოგცათ ეს გვამიო. აღმოჩნდა, რომ ამ დღეებში ნათლუხის სამხედრო სამკურნალოში გარდაცვლილა დრუჟინის ჯარის-კაცი ალექსანდრე თოთაძე, რომელიც ნათლუხის სასაფლაოზე დაუმარხავთ. დამარხვაზე სხვათა შორის ერთი თოთაძეთაგანიც ყოფილა და უნახავს, სადაც დაუსაფლავებიათ იმისი ნათესავი. შემდეგ თოთაძეებს და პანჩულაძეს პირი შეუკრავთ, რომ ალექსანდრე თოთაძეს გვამი ამოვიღოთ საფლავიდგან და წავიღოთ დასამარხავად ქუთაისში, სადაც დამარხულნი არიან ჩვენი ნათესავებიო. ამიტომ გაუკეთებინებიათ დიდი ფიჭვის ყუთი, ღამე ამოუღიათ საფლავიდგან თოთაძეს გვამი, ჩაუდვიათ დროგზე და წაუღიათ რკინის გზის სადგურზე, სადაც პოლიციის მოხელემ შეამჩნია და ოთხივენი შეიპყრო. ამ საქმეზე, რასაკვირველია, შედგენილ იქმნა ოქმი და გადაეცა სასამართლოს გამომძიებელს, რომელმაც ივანე, ვლადიმერი და ვასილი თოთაძეები და სოლომონ პანჩულიძე ციხეში ჩასხა ამ საქმის გამოძიების გათავებამდე. ალექსანდრე თოთაძეს გვამი ხელ-მეორედ მიაბარეს მიწას.

*** ამ უკანასკნელს დღეებში პოლიციამ შეამჩნია, რომ დიდ-ძალი ყალბი ქაღალდის ფული (მანეთიანები) დადის ტფილისში. ეს მანეთიანები ისე ოსტატურად არის თურმე გაკეთებული, რომ ძალიან ძნელია იცნოს კაცმაო.

*** ჩვენს იარმუკებზე ხშირად მოიძებნება ძველი ხელთ ნაწერები და ნივთეულობა ნახმარ წიგნების მყიდველებთან. აი ეხლაც, გაზ. „ახ. მიმოხ.“ სიტყვით, ერთს ძველის ნაშთების მოყვარულს იარმუკაზედ უყიდნია დედოფალ თამარის დროის ფული, ერთი დიდი სომხური ხელთ-ნაწერი და ერთიც ქართული ხელთ-ნაწერივე, ხუცურად დაწერილი ეტრატზედ.

*** ფოთი: გუშინ-ღამ აქ ორი ქურდობა მოხდა. ქურდებმა გასტეხეს სახლი კონსტანტინე ლოლობერიძისა, რომელიც აქაურის პოლიციის ბოქაულის ახლოს სდგას, და გაიტანეს სხვა-და-სხვა ავეჯეულობა. მეორე ქურდობა შუაგულს ბაზარში მოხდა. იქ გასტეხეს კანტორა „ნადეჟდა“ კოსტანტინე ბაქბეუქ-მელიქოვისა და წაიღეს პატარა კასა, რომელშიც ორი ათას სამასი მანეთი იყო. ამ ქურდობის გამო დღეს ოთხი მუშა დააპატიმრა პოლიციამ.

*** სოფ. ოქონა (ქართლი): უზარმაზარი საფალავანდიშვილო ტყე, რომელიც აქამდის პატრონების უზრუნველობის გამო ოხრდებოდა, ეხლა უკვე შეკრულ იქმნა. ფალავანდიშვილებმა პირობა შეჰკრეს ერთმანეთში, ამოირჩიეს თავიანთ შორის ტყის გამგე და ზედამხედველები და დააარსეს კანტორა, მაგრამ ამ დროს, როდესაც ამ კეთილის განზრახვის შესრულებას დაადგნენ, წინააღმდეგობა გაუწიეს ხიზნებმა. ჩვენს როგორც აქამდის გვისარგებლია, ისე უნდა ვისარგებლოთო, ამბობენ ხიზნები, თუმცა ვიცით, რომ ტყე ფალავანდიშვილებს ეკუთვნისო. ეს გარემოება უკვე აცნობეს ბ-ნ მაზრის უფროსს და ჯერ არ ვიცით, რით გათავდება ასეთი უსიამოვნობა ხიზნებსა და ფალავანდიშვილებს შორის.

*** ქვედა-აჭარა: საშინელი ზამთარია წელს ჩვენკენ. გზები სულ შეკრული იყო. მხოლოდ ეხლა-ხანს გაიხსნა გზა და ამ დღეებში პირველად მოვიდა ფოსტა. ხალხი დიდს გაჭირებაში იყო. უგზოობამ ცალკე შეაწუხა ფუხარანი და რაღაც უცნაურმა სურდო-ხველამ კიდევ ცალკე.

*** იქიდამვე: არამც თუ პატარებს, მოზრდილებსაც დიდი სურვილი აქვთ აქეთკენ ქართულის წერა-კითხვის სწავლისა, მაგრამ ჩვენი პატრონი არავინ არის. ამას წინად ერთის მადლიანის კაცისაგან მოგვივიდა ანბანის წიგნები და რვეულები. ამ წიგნებისა და რვეულების წყალობით რამდენმამე მოზრდილმა ყმაწვილმა დაიწყო სწავლა ქართულის წერა-კითხვისა. წიგნები რომ ბლომად იყოს, წერა-კითხვის ცოდნის მსურველი ბევრი აღმოჩნდებოდა.

*** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): დაგვწყვიტა სწორედ ახალმა ავადმყოფობამ. თუმცა შარშანდელ წლის დამლევსაც იყო ეს ავადმყოფობა, მაგრამ მაშინ ზარალი არა ჰქონდა. ახალწლის შემდეგ-კი ხელი გაგვისვა და დღე არ გავა, რომ მიცვალებული არ დაიმარხოს. ხოლერა ამაზე მეტს აღარას გვიზამდა. ავადმყოფობასა და სიკვდილს გარდა, სიმინდის უფასურობამ და უმუშევრობამ ხომ სულ ბოლო მოგვიღო. ფუთი 30 კ. იყიდება და ამ ფასადაც არავინ არის მყიდველი. ყველაფრის ფასი დაეცა. უღელ ხარს ჩვენში ეხლა 30 მან. იყიდით, წინად-კი ას მანეთად იყიდებოდა. ერთის სიტყვით, აღარც ფასი სდევს რასმე და აღარც მყიდველია რისამე. ამ ბოლოს დროს აქეთ კარგი და თბილი ამინდები დგას.

*** ქართლი: ბევრგან ჩივიან ჩვენში უფულობასა და ქესატობას: ცოტა მოგვივიდა ჭირნახული, პური, თუ ღვინო, მაგრამ რაც მოვიდა, იმისი მყიდველიც არ არისო. შარშან ერთიორად მეტს გვაძლევდნენ ყველაფერში და ეხლა ნახევრის მძლეველიც აღარსადა სჩანს.

*** თებერვლის 1, ღამით, ბაგრატიონის ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელმა გიორგი ნასყიდაშვილმა იპოვნა ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბავშო ინსტიტუტში გაგზავნეს.

შენიშვნა: ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, ვითომც ყოვლად უსამღვდელოესს ეგზარხოსს მის სახელ-წოდების დღეს მიუღია მისალოცავად ბ-ნი კამაროვი და კლიმოვსკიო. ეს მართალი არ გამოდგა. მის ყოვლად უსამღვდელოესობას არავინ არ მიუღია, რადგანაც შეუძლოთ ბძანებულა.

## ნაკვესი

ჭირში არ შეგსწრებივარ, მაგრამ ლხინში ღმერთმა რაფაელ ერისთავი ნუ დაგაკლოს.

— ყმაწვილო! რატომ ეგრე შორიდამ მიყურებთ? იქნება, ვეღარა მცნობთ?

— ღმერთმანი, რომ ძნელი საცნობი ხართ!

— ვითომ რადა?

— გამოცვლილხართ, ბატონო! ნეტა ქალებმა რა ჯადო იცით, რომ ეგრე ფერს იცვლით ხოლმე?

— მაშ თვალები როგორ აგიბათ კაცებს!..

შევლაპარაკდით. სხვათა შორის ლაპარაკი შვილებზე ჩამოვარდა. ბარძიმის მეუღლემ თავის პატარა ქალის ქება დაიწყო:

— ისეთი ლამაზია, ისეთი, რომ სწორედ მარწყვის კუნწულასა ჰგავს, არ მომიკვდება ჩემი სოსო,—ტყუილად არ დაგიფიცავ...

— ფიცი რა საჭიროა, ჩემო ბატონო, როდესაც თქვენის ქალის ცოცხალს და ნამდვილს სურათს ჩემის თვალით ვხედავ. თუ ჩემი სიტყვა არა გჯერათ, აი სარკე გვიმოწმებს.

ის იყო სარკესთან მივედით. ბარძიმის მეუღლემ სარკეში ჩაიხედა, კავები გაისწორა და ჩუმად ჩაიკასკასა. სჩანს იამა ჩემი სიტყვები, ისე ძლიერ იამა, რომ, თუმცა ბევრი უარი ვუთხარი, მაინც არ მომეშო და სიტყვა ჩამომართო, ხვალ საღამოს უთუოდ ვწვეოდი სახლში.

— „და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!“ შევღიღინე უცბად.

ბარძიმის მეუღლემ გაკვირვებულმა შემომხედა, თითქოს თვალით მეკითხებოდა, ეგ რასა ჰნიშნავსო. მიუხედი და ვუპასუხე:

— არაფერი, თქვენი მეუღლე დავინახე და რაღაცამ მომაგონა-მეთქი ეგ სიტყვები.

ბარძიმიც მოვიდა. თან ახლდა ორი სხვა ბარძიმი. რაღაც ფაცაფუცში იყვნენ. მერე გავიგე, რომ ერთ არტისტ ქალისთვის რაღაც საჩუქარი მიერთმიათ და ეხლა იმის თათბირში იყვნენ, თუ ამაღამ სად გავუმართოთ ვახშამი და ვინ მივუპატიჟოთო.

**

საღამოს რვა საათი იქმნებოდა, რომ მეორე დღეს ბარძიმიანთას მივედი. ბარძიმის მეუღლე ისევ გამოკაზმულ-გამოლამაზებული დამხვდა. მაჩვენა თავის „მარწყვის კუნწულა“ ქალიც. თუმცა, სულ ქვეშ რომ გითხრათ, პატარა ქალი „მარწყვის კუნწულას“ არა ჰგავნდა, მაგრამ მაინც დედის გულს ვაამე: სწორედ ციდამ მოწყვეტილი ვარსკვლავია-მეთქი. რა მეხარჯებოდა ტკბილის სიტყვის მეტი!..

ბარძიმიც შინ დამხვდა. თუმცა არ მოელოდა ჩემს მისვლას, მაგრამ, რომ დამინახა, ძალიან იამა.

სტუმრები ჰყოლოდა მიწვეული, და მეც სათვალავში ვიქნებოდი, მეტი სახელია მასპინძლისთვის.

ვერ ვიტყვი, რომ ბარძიმსა და იმის მეუღლის გემოვნება არა ჰქონოდეთ. სახლში რიგიანად იყვნენ მოწყობილი, როგორც-კი შეეფერება სოფლიდამ დროებით ჩამოსულებს. ერთის ოთახიდამ ჭურჭლის ჩხარა-ჩხური ისმოდა. ეტყობა ბარძიმს არ უნდა თავი შეირცხვინოს და კარგად, გულუხვად, ძველებურად აპირებს სტუმრების დახვედრას-მეთქი,—გავიფიქრე. აი თუ ჰერი ავარდება ამაღამ ამ სახლს გულითადის ნატვრით: „და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!..“

სტუმრები ბლომად შეიყარნენ. ვახშამამდე როგორღაც ყველანი მოწყენილად იყვნენ, ლაპარაკი ლაპარაკს არ ებმოდა. სუფრას რომ მოვუსხედით-კი, ღვთის წყალობა გაქვთ, ყველამ ენა ამოიდგა.

— არა, ის ჩვენი ზაალი ჩასციებია ყველას,—დაიწყო ერთმა დაცინვით: ყაირათი ისწავლეთო. თითონ მოჰყოლია, ბატონო, და გროშსაც-კი ხელს უჭერს. ეგღა გვაკლდა, ახლა გროშის ყაირათობა დავიწყოთ. არა, როცა იმან გროშებით სასახლე დაიდგას, მე ნუღარ მიმიპატიჟებს იმ სასახლეში.

— ტყუილად დაიცინებით, ბატონო, გროშიც ფულია და მერწმუნეთ, თუ ჩვენ მართლა ყაირათობა ვისწავლეთ, გროშებით სასახლებსაც ავაშენებთ, ჩავერიე მეც ლაპარაკში.

— თქვენც ხუმრობას მოჰყვებით:— გროშისა აი ეს მჭკნარი მწვანილიც ვეღარ გვიყიდნია,—და ერთი ბლუჯა მწვანილი მადიანად პირში იკრა.

— მაშ, აბა თუ ნებას მომცემთ, ერთს პატარა ამბავს გეტყვით გროშის შესახებ. დიდის ხნის ამბავია. სადღაც ორ-გროშიანი ვიშოვნე და ქისაში ჯიბის ბარაქად ვინახავდი. ერთხელ საღამოს მარტო ვიყავ, ქისას დავუწყე სინჯვა და ორ-გროშიანი ქისიდამ ამომივარდა. უცბად—ოჰ საკვირველებავ!—ორ-გროშიანმა ხმა ამოიღო და აი რა მიამბო.

ორ-გროშიანის ამბავი.

— ნეტა ჩემზე საბრალო, ჩემზე დაბრიყვებული, ჩემზე უბედური კიდევ იქნება ვინმე ქვეყანაზე,— ასე დაიწყო ორ-გროშიანმა. სად არ მივლია, რა არ მინახავს, ვის ხელში არ ვყოფილვარ,—და არც ერთგან ტკბილი სიტყვა არ გამიგონია. მაგრამ ისე გული-კი არასოდეს ჩამწყვეტია, როგორც ერთხელ, მდიდრის ხელში რომ მოვხვდი. მე საწყალი, უბედური როგორღაც ჩავერიე ვერცხლის და ქაღალდის ფულებთან. აბა რა გამოვჩნდებოდი წკრიალა თეთრ ფულთან და ფერად-ფერად მანათიან, ხუთ მანათიან, თუმნიან და ათ-თუმნიანებთან. მდიდარმა გადაგვალაგა: თეთრი ფული ცალკე ლამაზ ქისაში ჩააწყო, ფერად-ფერადი ქაღალდები ლამაზ ტყავის პორტმონეში. ერთი ჯიბეში ჩაიდო, მეორე უბეში, გულთან თბილად ჩაიკრა, და მე-კი გარეთ ჯიბეში ჩამიგდო. გამოვიდა თუ არა გარეთ, გლახა დაჰხვდა, ამოიღო და გადამაგდო. გლახა სიხარულით დამწვდა, ეგონა, თეთრი ფულიაო, და, რომ დამინახა ორ-გროშიანი, მეცა და ჩემს წინანდელს პატრონსაც კარგები შემოგვიკურთხა.

მეწყინა, ძალიან მეწყინა, გული ჩამწყდა. ცხარე ცრემლით დავიწყე ტირილი. ვის რა დავუშავე, რად მეკიდებიან ასე უსამართლოდ? რითა მჯობიან აი თუნდ ის უსირცხვილო, ფერწაგლესილი ქაღალდები. თითო ჩემოდენას ვერც-კი აიწონს. გამძლეობით ხომ ვერც ერთი ვერ შემედრება. წყალში-ჩაიშლებიან და ჩემს ფასადაც აღარა ღირან ხოლმე, ცეცხლში ხომ თქმა აღარ უნდა,—პატარა ნაპერწკალი რომ მოედოთ, აპრიალდებიან და ერთს წამში ფერფლად იქცევიან. მე-კი თუნდ ცეცხლში ჩამაგდეთ, თუნდ წყალში, რაცა ვარ, ისევ ის დავრჩები. მაგარი ვარ, გაუტეხელი! მხოლოდ ეს ადამიანის უსამართლობა, უმადურობა მაღონებს და გულს მიკლავს!..

თავის მოკვლას ვაპირებდი, რომ ერთხელ ჩემი ძმობილი, ჩემისთანა ორ-გროშიანი არ შემხვედროდა. შემხედა და შევჩივლე ჩემი დარდი და ნაღველი.

— შენ ჯერ აქედამ არსად გასულხარო?—მკითხა.

— არა-მეთქი, ვუპასუხე.

— მაშ ჯერ ახალგაზდა ჰყოფილხარ, გამოუცდელი. მე კარგა ხანია ქვეყანაზე ვცხოვრობ. წინად მეც შენ-

ილია ჭავჭავაძემ „განდეგილი" რომ დაწერა, დავით სარაჯიშვილმა მიიწვია ვახშმად ყველა ჩვენი მწერალი იმ განზრახვით, რომ ვახშმის წინად დამწერს წაეკითხა თავისი ახალი პოემა.

წაკითხვის შემდეგ გაიმართა ვახშამი და ტოლუმბაშობა რაფაელს დაუვალეს. ყველას სწყდა ცოტ-ცოტად რაფაელის მახვილი ენა. მაგრამ სხვაზე უფრო პეტრე უმიკაშვილს ერგო. პეტრე კარგად იყო მორთული ამ საღამოს და ჩვეულებისამებრ ულვაშიც მოპარსული ჰქონდა.

— თუ ეს სტაქანი არ დასცალოს პეტრემ, ულვაში აუწიეთ, უბრძანა მრისხანეთ ტოლუმბაშმა თავისს თანაშემწეს.

ლელო

## ხმა შორიდამ

სოფლის მასწავლებელ ბ-ნ ექვ. მ—ძისა და სხვათა საყურადღებოდ)

ეს რამდენიმე ხანია იმისთანა ნომერი არ შეგვხვედრია ჩვენებურ გაზეთებისა, რომ საიდგანმე რისამე ჩივილი არა ყოფილიყოს. სჩივიან წინამძღვრიანთ-კარის სკოლის გულ შემატკივარნი სჩივიან სოფლის მასწავლებელნი, სჩივიან კიეველი სტუდენტები, სჩივიან, მაგრამ ყველას ვინ ჩამოსთვლის, ვინც სჩივის? სჩივიან და ჩივილს-კი ყურადღებას არავინ აქცევს, თითქმის წამალს არავინ ამზადებს ჩივილის გამომწვევის ტკივილისათვის. აგერ ორი თვეა წინამძღვარიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ ფული გროვდება და, არა მგონია, ჯერ 300—400 მანეთი მაინც შეკრებულიყოს, თუმცა სომხები და რუსებიც-კი დაგვეხმარნენ.

სოფლის მასწავლებლების ჩივილს წიგნების საჭიროების შესახებ ხომ, მგონი, არას დროს არ ეღირსოს ყურადღება. მხოლოდ კიეველ სტუდენტებს გაუღიმათ ჯერ-ჯერობით ბედმა. „ივერია"-მ შეგვატყობინა, რომ სამტრედიიდამ ბ-ნმა შარიდან სიხარულიძემ 25 მანეთი გამოგვიგზავნა იმათთვის წიგნების გასაგზავნადაო. წარმოიდგინეთ, ერთმა ქართველმა კაცმა ერთად 25 მანეთი გაიმეტა და ისიც ვისთვის, კიეველ სტუდენტებისთვის, რომელნიც ასე შორს არიან თავიანთ ქვეყანას და სამშობლოზედ. ჩვენის აზრით, ყურადღების მისაქცევია ეს გარემოება მეტადრე სოფლის მასწავლებლებისათვის. ვთქვათ, ყველაფერი მართალია, რასაც ბ-ნი ექვ. მ—ძე ამბობს თავისს წერილში („ივერია" № 11) ჩვენს წინააღმდეგ და, რომ სოფლის მასწავლებელი არ გათახსირდეს, ერთად-ერთი საშუალება წიგნებია, თუმცა არც ჩვენ უარ-ვყოფთ იმათთვის წიგნების საჭიროებას. ჩვენ მხოლოდ სხვა ღონისძიებანიც აღვნიშნეთ და ვსთქვით, რითი შეიძლება იმათ ცხოვრებას რამე განკარგება, აზრიანობა დაეტყოსო. მაგრამ დავეთანხმოთ, რომ ყველაფერი, რასაც ჩვენ ვამბობდით, მასწავლებელთათვის შეუძლებელი საქმეა. დავეთანხმოთ, რომ აუცილებლად საჭიროა, როგორც ბავშვებისათვის საყმაწვილო წიგნები, ისე თითონ მასწავლებლებისთვის ღრმა საკითხავი და ცოდნით დაწერილი წიგნები. ახლა ის უნდა ვიკითხოთ, საიდამ იშოვნონ სასოფლო სკოლებში ეს საჭირო წიგნები! „წერა-კითხვის საზოგადოება" თავის ორიოდე სკოლას ძლივს უძლებს და ათასი საქმე კიდევ აქვს თავს მოხვეული. დარჩა გულ-შემატკივრობა თითოეულის მაღლიანის კაცისა და აი სწორედ ამ გულ-შემატკივრობას უნდა მიჰმართოს სოფლის მასწავლებელმა. ჩვენ გვგონია, რომ ერთად-ერთი საშუალება სასოფლო სკოლასთან ბიბლიოთეკის დაარსებისა ისევ სოფლის მასწავლებლებს აქვთ და სხვას არავის. ეს ის საშუალება გახლავთ, რომ შარიდან სიხარულიძეებს უნდა მიჰმართონ სოფლის მასწავლებლებმა, იმათ გულ-მტკივნეულობას უნდა ჩასჭიდონ ხელი, დაბა და სოფლის გულ-შემატკივარს კაცებს უნდა ჩააგონონ მასწავლებლებმა, რომ არ დაიშურონ კეთილის საქმისათვის თითო-ოროლა გროში. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგივე შარიდან სიხარულიძე, რომელმაც კიევის სტუდენტებს 25 მანეთი გაუგზავნა წიგნების სასყიდლად, თავის სოფელში გამართულ სკოლას, სადაც, იქნება, იმისი შვილებიც სწავლობენ, უფრო შესწირავდა, რასაკვირველია, თუ-კი სოფლის მასწავლებელი გააგებინებდა, აუხსნიდა და დაარწმუნებდა, რომ ასეთი დახმარება სკოლისა კეთილი საქმეა და თან სასარგებლო საქმეც არის. დიაღ, ბ-ნო ექვ. მ—ძევ, მარტო სკოლაში ჯდომით და „ულეველ რვეულის გასწორების წინ ბედის წყევლით" არა გაკეთდება-რა. მაგრამ შეიძლება შარიდან სიხარიძისთანა კაცი მეორე აღარ იყოს საქართველოში? ჩვენ-კი გვგონია, რომ არიან, მხოლოდ მოძებნა უნდა და, ვინ უნდა მოძებნოს ისინი, თუ არა ისევ სოფლის მასწავლებლებმა, რომელნიც ერთს სოფელში არიან იმათთან. შეიძლება ყველა სოფლის მასწავლებელი „მოუმზადებელნი იყვნენ", როგორც ბ-ნი ექვ. მ—ძე ამბობს, მაგრამ ამის დაჯერება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგან პირადად ვიცნობთ რამდენსამე კარგად მომზადებულს მასწავლებელს; ან იქნება ჩვენ სრულიად არა გაგვეგებოდეს-რა ცხოვრებისა (ეს-კი შეიძლება, რაკი ასე ჰსურს ბ-ნ ექვ. მ—ძეს), მხოლოდ ისიკი არ შეიძლება, რომ კაცს თვით-მოქმედების უნარი არა ჰქონდეს, თუ ცოტაც არის მსურველია ამისი და იმისი ბედ-იღბალი მარტო „ცაო, ცაო, მოიწმინდე"-ზედ არა ჰკიდია.

დ. ხ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება მომეცით თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადო არჩილ დარეჯანაშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ დაურიგა ნაფარეულის სკოლის მეორე და მესამე განყოფილების შეგირდებს თავის შედგენილი წიგნი: „როგორ უნდა მოშენდეს აბრეშუმი".

ნაფარეულის სკოლის მასწავლებელი ალ. ბენაშვილი.

## წვრილი ამბები

ლონდონში სხვათა შორის ერთი საკვირველი დაწესებულება არსებობს. ეს დაწესებულება დ-რ ბარნარდოს მიერ დაარსებული მიგდებულ და სნეულ ბავშვთა თავშესაფარია. ამ სახლის შენობის კარებს წინ თითქმის ყოველ დღე დიდ ძალი დედაკაცობა დგას, ღარიბსა და ღატაკს მშობლებს ხელში გამხდარი, სნეული და მომაკვდავი უმაწვილები უჭირავთ და რიგს ელიან. ამ უმაწვილებს თავშესაფარში ბინას აძლევენ, რიგიანად უვლიან, ჰკურნავენ და ჰზრდიან თავშესაფარის მიერ მრავლად დაარსებულს სასწავლებელში, რომელიც უმეტესად ქალაქს გარეთ იმყოფება. ამ ჟამად თავშესაფარში 3,200 უმაწვილამდეა სხვა-და-სხვა წლოვანებისა. თავშესაფარს ორი უმთავრესი განყოფილება აქვს, ერთი ტორონტოს და მეორე პიტერბოროში, სადაც საკუთარის სურვილისამებრ იგზავნებიან ამ სასწავლებლიდგან 16—20 წლის მოწაფენი. ეს მოწაფენი იქაც დიდ ხანს არა რჩებიან, რადგან ჩქარა ჰპოულობს ყველა თავის მიერ თავშესაფარში ნასწავლ ხელობის შესაფერს ადგილს. ნასწავლი და აღზრდილი მამათა და დედათა სქესის ბავშვი თავშესაფარს დღევანდლამდე კანადაში 4,050-მდე გაუგზავნია.

— პარიჟში გარდაცვალებულთა გვამის დაწვის საქმემ გაიმარჯვა და უკვე გამართეს კიდეც ქურა, მაგრამ ისე რიგად არავინ რჩეობდა ამ ქურაში დაწვას. ეხლა ინფლუენციით უსარგებლნია პარიჟის ქალაქის საბჭოს, რომ ეს საქმე წინ წასწიოს და ფეხზედ დააყენოს. ამ ერთის წლის წინად პერ-ლაშეზის სასაფლაოზედ გარდაცვალებულთა დასაწვავი ქურა ააგეს, ხოლო ამ ქურას ის ნაკლი ჰქონდა, რომ თითო გვამის დაწვას ორი საათი უნდებოდა და ფულად-კი 17 მან. 50 კაპ. ჯდებოდა. ამ ბოლოს დროს მეორე ქურაც გააკეთეს სიმენსის სისტემაზე, რომელიც ერთს საათში სწვავდა გარდაცვალებულს და რომელსაც 1 მან. 50 კ. მეტი ხარჯი არ უნდებოდა. 1 აგვისტოდგან წლის დამლევამდე ამ ქურაში დაუწვავთ 735 გვამი, რომელთა შორის მხოლოდ 35 ყოფილა თავისის სურვილისამებრ დამწვარი. დანარჩენები-კი ის ღარიბები იყვნენ თურმე, რომელნიც ქსენონში გარდაიცვალნენ და რომელთა დამარხვის თავი არა ჰქონდათ იმის ნათესავებს.

— ბელგიის დეპუტატთა პალატაში დიდი ბაასი და კამათობა გამოუწვევია იმ კანონ-პროექტს, რომ ქალებს მიეცეთ თუ არა ნება მეცნიერების შესწავლისა. რადა თქმა უნდა, ბევრმა ილაპარაკა ქალების წინააღმდეგაც და მომხრეობაც ბევრმა გაუწია. ბოლოს კანონ-პროექტმა გაიმარჯვა და ქალებს ნება დაერთოთ შეისწავლონ სამკურნალო მეცნიერება და მეაფთიაქეებად იყვნენ, მხოლოდ ექიმობა-კი აეკრძალათ, რადგან უმეტესობა ქალების ექიმობის წინააღმდეგი იყო.

— „Daily News"-ი ამბობს: ერთმა ნიუ-იორკელმა მილიონების პატრონმა სულთანს გამოუცხადა, რომ 200,000 მ. მოგცემთ, ოღონდ-კი ქრისტიანობა მიიღეთო.

— ლონდონში მისულა ამას წინად ორი მოგზაური, რომელთაც ფეხით მოუვლიათ მთელი ევროპა თორმეტს თვეში. ამათ მოგზაურობა აბერდინიდგან დაუწყიათ, მისულან დუვრში, იქიდგან გემით კალეში გადასულან, შემდეგ მოუვლიათ მთელი საფრანგეთი, ისპანია და პორტუგალია, იმავ გზით დაბრუნებულან იტალიაში, ყოფილან ტრიესტს, ვენას, კრაკოვს, პეტერბურგს, მოსკოვსა და რიგას, გადასულან სტოკჰოლმს, გაუვლიათ შვეცია და ნორვეგია ქრისტიანიამდე, მერე გემით ჰოლანდიას წასულან და იქიდგან ოსტენდესა და კალეზედ სასლშივე დაბრუნებულან. ამდენი ხანი ამათ მხოლოდ თავისის სიამოვნებისათვის უმოგზაურნიათ.

---

საეით ეწუხდი. მაგრამ ქვეყანა რომ მოვიარე, ნუგეში მომეცა, დავრწმუნდი, რომ ჩვენც გვაფასებენ, ჩვენც შეგვეძლებია სიკეთის მოტანა. ყური დამიგდე, გიამბობ ჩემს თავ-გადასავალს.

„ერთხელ, ჩემს ახალგაზდობაში, მეც შენსავით გამაჯავრეს. უსამართლობა ველარ ავიტანე და გადავწყვიტე: წავალ, გავშორდები აქაურობასა-მეთქი. წაველი. გადავიარე მთა და გორები, გავიარე ხმელეთი, ზღვები და მივედი უცხო ქვეყანაში. იქ ერთ მუშა-კაცის ხელში ჩავვარდი. მიკრა თავი და ერთს ბნელს საპყრობილეში ჩამამწყვდია. მხოლოდ ერთი პატარა ჭუჭრუტანა ჰქონდა სანათურად. მერე შევიტყე, რომ ადამიანი თურმე ყულაბს ეძახის იმას, რაც მე საპყრობილეთ მეჩვენა. დაველონდი, მარტოობისა შემეშინდა...

მაგრამ სულ ერთმა დღემ გაიარა და შევხედო, იმავე საპყრობილეში, სადაც მე ვიჯექი, მეორე ორ-გროშიანს გასძვრა ტყაპანი. გამიხარდა და რა გამიხარდა, სულ ციბრუტივით დავტრიალდი. კარგა ხანს ვილაპარაკეთ, ვუამბეთ ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი თავგადასავალი. მესამე დღეს აგრეთვე მოგვემატა კიდევ ერთი ორ-გროშიანი და ასე ყოველ დღე გვემატებოდა თითო-თითოდ. ოჰ, რა სიხარული და ამბავი გვქონდა, რომ იცოდე. ხანდახან ფერხულსაც-კი დავაბამდით ხოლმე. გავიდა ასე ერთი წელიწადი, შევიყარენით ერთად სამას სამოც-დახუთი ორ-გროშიანი.

ერთს დღეს ჩვენი პატრონი მოვიდა, დაამტვრია ჩვენი საპყრობილე, ერთი კიდევ გადაგვთვალა და სიამოვნებით სთქვა: სამი მანეთი და სამი აბაზი შემდგარაო. შეგვკრა პარკში, წაგვიღო, მიგვიტანა ერთს დიდს სახლში და ჩაგვაბარა იქ. მერე გავიგეთ, რომ ამ სახლს თურმე ბანკი ჰქვიან.

ვიყავით ჩვენთვის უზრუნველად, დიდს პატივსა გვცემდნენ ამ ბანკში. ხანდახან გაგვგზავნიდნენ ხოლმე, მართალია, და ხშირად ძალიან შორსაც, მაგრამ თავის დროზე ისევ უკან გვაბრუნებდნენ. ყოველ წელიწადს მოდიოდა ჩვენი პატრონი, დაგვხედავდა, მოიტანდა კიდევ მთელს გროვას ჩვენისთანა გროშებისას, შეიტყობდა, რომ ჩვენც აქ უსაქმოდ არა ვსხდვართ, გვიბარტყნია, და გახარებული დაბრუნდებოდა ხოლმე შინ.

ჩვენის პატრონის სიხარული ჩვენც გვახარებდა! ვბარტყობდით და ვბარტყობდით და, ასზე 5 სარგებლის მიმატებით, ხუთს წელიწადს ოც მანეთად და ცამეტ ორ გროშიანად გადავიქეცით. ასე ყოველს წელს ვმატულობდით.

გავიდა ასე ორმოცი წელიწადი. დადგა ის დღეც, როდესაც ჩვენი პატრონი მოვიდოდა ხოლმე სანახავად. მოუთმენლად მოველოდდით. აგერ გვიკითხეს კიდეც. შევხედეთ, ეს ჩვენს პატრონს აღარა ჰგავს! აგვიღეს-კი და ყველა იმას ჩაგვაბარეს. ეს ახალი პატრონი ჩვენის უწინდელ პატრონის შვილი იყო თურმე. წინანდელი მომკვდარიყო. გვეწყინა, ეს ამბავი რომ გავიგეთ. ყველამ ერთად ტირილი დავიწყეთ,—და იცი მერე რამდენი ვიყავით,—ორმოცი ათასზე მეტი შევყრილიყავით ერთად! დიახ სულ შემდგარიყო 414 მან. და 83 კაპ. მერე ვინ იყო ამათი დედა, მოთავე? მე, ერთად-ერთი საწყალი ორ-გროშიანი! აი, ჩემო ძმობილო, რა შეგვძლებია ჩვენც, ყველასაგან დაბრიყვებულ ორ-გროშიანებს."

— მას აქეთ, რაც ეს მიამბო ჩემმა ძმობილმა, მე აქ გული აღარ მიდგება, მითხრა ჩემმა ორ-გროშიანმა: კიდევ თუ მაძლებინებდა რამე აქ, მხოლოდ ის, რომ შენ კარგად, ადამიანურად მექცეოდი, ქისაში მინახავდი. თორემ მომიშორებ თუ არა, მე აქ დამდგომი აღარა ვარ, მეც იქ წავალ, სადაც უფრო მეტი პატივიც გვქონია და სიკეთის მოტანაც შეგვძლებია".

ამითი გაათავა ორ-გროშიანმა თავისი ამბავი.

ჰკუაში დამიჯდა ეს სიტყვები და აი ერთ მოცლილ საღამოს დავჯექ და დავიწყე ანგარიში: თუ ყოველ დღეს გადაგდებული ორ-გროშიანი ორმოცს წელს ორმოც თუმანზე მეტად გადაქცეულა, მაშ დღეში რომ ოროლი შაური გადავაგდო,—ორმოცს წელიწადს რამდენი შესდგება, თუ ხუთის მაგიერ, ასზე ათი სარგებელი ვიანგარიშეთ. თუ ფული საქმეში დაატრიალეთ, ათს სარგებელს ყოველთვის აიღებთ. გამოიანგარიშე და იცით რა შესდგა? ათას ექვსას თუმანზე მეტი! არა გჯერათ? ჰკითხეთ, ვისაც გნებავთ!.. გესმით: 16,000 მან.! ეს ხომ მთელი შეძლებაა, ბატონებო!..

თუ მოვახერხებთ და დღეში თითო მანეთს ვიყაირათებთ და; თუ ასზე ათს სარგებელს ავიღებთ,—მაშინ იცით რა შესდგება ორმოცს წელს? თექვსმეტი ათასი თუმანი! დიახ, 160,000 მან!..

განა ძნელია,—მანეთს რომ თავი დავანებოთ,—დღეში ოროლი შაურის გადაგდება? სრულიადაც არა! თქვენ ის მითხარით, რომ ყაირათს, რიგს არა ვართ მიჩვეული, თორემ რამდენი,—ორი შაური-კი არა,—ორი აბაზი და ორი მანეთი გვეხარჯება დღეში ტყუილ-უბრალოზე! ამას ვინა სთვლის. და თვლა-კი რომ ვისწავლოთ,—ოჰ, რა ბედნიერები ვიქნებოდით! ხუმრობაა? ორი შაური რა არის და დღეში რომ სულ ორი შაური შევინახოთ ხოლმე, ხომ ჰნახეთ ორმოც წელს როგორა ბარტყობს. განა ბედნიერები არ იქმნებოდნენ ჩვენი შვილები, რომ შეჰნახოდათ ეს ამოდენა ფული, რომელსაც დღეს ჩვენის უთავ-ბოლობით, უყაირათობით ასე ვლუპავთ?!

აბა შეჰხედეთ, ბატონებო: ამდენი მოხელობა თავს აკლავს, თვალის ჩინს ირთმევს, ჯანს ალევს სამსახურს, რომ ეგები 30—40 წლის შემდეგ რაიმე პენსია დავიმსახუროთო,—და თქვენ-კი თქვენი პენსია,—და რა პენსია!—ხელთა გაქვთ და არ გინდათ, თავი შეიწუხოთ და მოუაროთ... კაცმა რომ გითხრათ ეს, სიცილს მიაყრით.

— კაი ზღაპრები გცოდნია, მითხრა იმან, ვინც ეს ლაპარაკი გამოიწვია: და თითქოს მადლობის გადასახდელად, რომ ასეთი ზღაპარი ვუთხარი და გავართე, ჩემი სადღეგრძელო დალია და თან შემოსძახა:

ჭიქით ვსვამ ღვინოს...
და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!..

მიამა, რომ ჩემი სიტყვები ასე კარგად გაიგეს, სიხარულით ამევსო გული და მეც ბანი მიეცი...

„და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს!.."

მადლობა ღმერთს, ბოლოს, როგორც იყო, „საქართველომ გაიმარჯვა": შუაღამე გადასული იყო, რომ სუფრიდამ ავიშალენით, და აღარც ერთს არც პირში ენა ჰქონდა, არც ფეხი ემორჩილებოდა კარგად.

მხიარული მოვდიოდი შინისკენ,—მიხაროდა: ასე და ამ გვარად თუ ვიძახეთ განუწყვეტლივ „და გაუმარჯოს ჩვენს საქართველოს", უთუოდ „საქართველოს გამარჯვებას" მოვესწრებით და „გზა-დაბნეულს ბატებსაც" სწორე გზაზე დავაყენებთ-მეთქი...

დონ-იაგო

## გასართობი

კადით ცოლის შერთვა სწორედ ახალი ამბავია, არამც თუ ევროპისა, ამერიკისათვისაც-კი, სადაც ცოლ-ქმრის განქორწინება სულ უბრალო საქმეა. ეხლა კი იქ, როგორც ნიუ-იორკის გაზეთები გვიამბობენ, კადით ცოლის შერთვის შემთხვევაც ყოფილა. ეს ამბავი კალიფორნიაში მომხდარა. ერთს უმაწვილს ქალს, მეტად შეძლებულის მშობლების შვილს, შეჰყვარებია ერთი ღარიბი უმაწვილი კაცი, რომელსაც, სიღარიბეს გარდა, კიდევ ის ნაკლულევანება ჰქონია, რომ გადაკვრა და გადაულურწვა ჰყვარებია. რაღა თქმა უნდა, ქალის მშობლები დიდს უარს იყვნენ და არ უნდოდათ თავისი ქალი მიეთხოვებინათ. უმაწვილი ქალი მოწადინებული იყო, რომ არც მშობლები განერისხებინა და თავისი სატრფოც შეერთო, ერთის სიტყვით, არც მწვადი დაეწვა და არც შამფური. მერე როგორ მოახერხა? ახალგაზრდებმა ექვსის თთვით ქორწინების პირობა შეჰკრეს. ამ ექვს თთვეში ქალს სურდა სიმთვრალისა და ღოთობისათვის გადაეჩვია თავისი ქმარი. თუ ამ ექვსს თთვეში თავისს სურვილს ვერ განიხორციელებდა, პირობა დარღვეულად და გაუქმებულად ჩაითვლებოდა და უმაწვილი ქალი, მეუღლედ ქცეული, კვლავ გასათხოვრად გარდიქმნებოდა... როგორ მოგწონთ, კარგად არის მოხერხებული განა?!

**

ამაზედ ნაკლები მოხერხებულობა და გამჭრიახობა არ გამოუჩენია მეორე უმაწვილს ქალს, პარიჟელს კაბების მკერვალს. ამ მკერვალს მუშტარი ძალიან ცოტა ჰყავდა და ამ მხრით ძალიან გაჭირვებული იყო თურმე. უგულ-მოდგინებდა საქმეს, საუკეთესოდ ჰკერავდა, მაგრამ არ იქნა და არა, მუშტარი ვერ მიახვედა თავისკენ მოწყალე თვალით. ნათქვამია: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“, და აი ამ ქალმაც ხერხს მიჰმართა. კარგად იცოდა, რომ ყოველი ქალი, სულ ერთია, დიდი იქნება, პატარა, მოხუცებული თუ ახალგაზრდა, გონჯი თუ ლამაზი, კოპწია, თავის მოუვარული, თავისი თავი მშვენიერების ანგელოზად მიაჩნიაო, ამიტომ თუთიყუში იყიდა, გაწვრთნა, აღზარდა და ყაფაზით მაღაზიის კარებთან ჩამოჰკიდა. შესდგამდა თუ არა რომელიმე მუშტარი ფეხს, თუთიყუში მაშინვე მოჰყვებოდა მახილს: „ახ, რა ლამაზი ქალია! ახ, რა მშვენიერი დედაკაციაო!“ ამ უბრალო საშუალებამ ძალიან იმოქმედა, დაატყდა თავს უმაწვილ ქალს მუშტარი და დიდი სახელიც გაუვარდა თურმე მანდილოსანთა შორის.

**

ამ თუთიყუშის ამბავს არაფრად ჩამოუვარდება ქათმის ამბავიც. საქმე იმაშია, რომ ამას წინად მაინცის ქალაქის ერთს მცხოვრებელს ახირებული საჩივარი შეუტანია ელექტრონით განათების საზოგადოებაზედ. ეს კაცი მექათმეა და აი რასა სჩივის: რაც ელექტრონის სინათლე შემოიღეს, ჩემი ქათმები აღარ იძინებენ, ღამეც დღე ჰგონიათ. ამ უძილობის წყალობით მოსვენებას მოკლებულნი არიან დედლები, კვერცხს იმდენს ველარა სდებენ და ეს კვერცხის დაუდებლობა-კი ჩემს ჯიბეში თაგვებს ართულმას ამართვინებს. თავი და თავი დამნაშავე და ბრალეული-კი ელექტრონის სინათლეაო.

## დეპეშა

1 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ბრძანება სამხედრო უწყების საყურადღებოდ. ამ ბრძანების ძალით, ვინც სწავლა დაამთავრა პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ხარკოვისა, ნოვოროსიისა და ყაზანის უნივერსიტეტებში 1889 წლის გაზაფხულს, და ვინც 1890 წლის გაზაფხულს გაათავებს, ნება აქვთ ადვილად და შემსუბუქებით შეიძინონ აფიცრობა, უკეთუ ზემოხსენებულნი ყმაწვილნი კაცნი, შემოდგომაზე შესაფერის ეგზამენის დაჭერის შემდეგ კომისიებში, თავის ნებით შევიდნენ, ან შევლენ, 11 დეკემბერზე არა უგვიანეს, სამხედრო სამსახურში.

„Нов. Вр.“-ია იუწყება, რომ ცალკე კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეედგინა დებულება მუშათა ყოფა-ცხოვრების განკარგებისა ქარხნებსა და ფაბრიკებში სანიტარულის მხრით, უკვე გაათავა თავისი საქმე. მის მიერ შემუშავებული პროექტი წარედგინა შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს განსახილველად და ალბად მალე იქნება წარდგენილი დასამტკიცებლად საკანონ-მდებლო წესითაო.

ოდესა. ოლქის სასამართლომ 35 თანაშემწეს ნაფიცთა ვექილებისას აუკრძალა ეს ხელობა, საკომერციო სასამართლომ—4 ნაფიცს ვექილს. უფროს-ერთი იმათ შორის ებრაელია.

რომი. დღევანდელს დეპუტატთა პალატის კრებაზედ კრისპიმ განაცხადა, რომ იტალია მონაწილეობას მიიღებს ბერნის კონფერენციაში, რომელმაც მუშათა საქმე უნდა განიხილოს, და ამ მხრით გერმანიას შემწეობას აღმოუჩენსო. მინისტრმა ამ სიტყვებს დასძინა: ის გარემოება, რომ ამ საქმის მეთაურობას თვით გერმანიის იმპერატორი კისრულობს, აშკარად ამტკიცებს, რომ მონარქიული წეს-წყობილება ხელს არ უშლის შესანიშნავ სოციალურ საგნების გადაწყვეტასაო.

ბელგრადი. «ოდბეკი» ეჭვობს, რომ შეიძლება ბოლგარიის შეთქმულობა თვით სტამბულოვმა შესთხზა, რათა საფრთხილო კაცები მოეშორებინა თავიდგან და არჩევანებამდე შიშის ზარი დაეცა ქვეყნისათვისაო. სერბიის მოსაზღვრე ქალაქებში გასული ბოლგარები ამბობენ, რომ კოსტენდილსა და რადომირს შუა მკვიდრნი და ჯარი შეეტაკნენ ერთმანეთს და მკვიდრთა დაპატიმრების გამო ბოლგარნი ძალიან არიან აღელვებულნიო.

ვენა. ხმა დადის, რომ ამ ახლო ხანებში პრინცი ალექსანდრე ბატენბერგელი ავსტრიის ჯარის სამსახურში შევაო. პრინცი წავიდა ბუდაპეშტს, სადაც იმპერატორი კერძოდ ინახულებსო.

პარიჟი. წარსულ საღამოდგან ჰერცოგს ორლეანისას ისევე ეკიდებიან, როგორც დანარჩენს პატიმრებს, მხოლოდ საჭმელს-კი იმათისებურს არ აძლევენ. ჰერცოგის თხოვნისამებრ, მხოლოდ 18 ადამიანს აქვს დართული ნება პრინცთან სიარულისა და ამათში შეიდი ნათესავია. თუ კანონით დაწესებულმა ათმა დღემ გაიარა და ჰერცოგმა აპელაცია არ შეიტანა, უეჭველია ლაოსის საპატიმროში იქნება გადაყვანილი. ჩრდილოეთ დეპარტამენტში იმ აზრისანი არიან, რომ პრეზიდენტი აპატიებს პრინცს, გაივლის თუ არა მცირეოდენი ხანიო.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებანი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 32 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 146 1/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 240 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 229 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | 218 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყუ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=482 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.
თებერვალი 28 დღით არის

4 დღე კვირა. ქართველ. ხორცით ალება, ყველიერის დაწყება. ღირსისა მამისა ისიდორე პილისუტისა. კათოლ. წმ. ანგარია ეპისკ. აღმსარებელისა. სომეხ. წმ. მამათა: სარქისისა და შვილისა მარტიროზისა და სხვ. მზე ამოდის 6 საათ. 54 წუთზე. ჩადის 5 საათ. 34 წუთ. დაბადება მ. ი. უ. დ. კ. ვერა კონსტანტინეს ასულისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12 საათ. 14 წუთზე. მთვარე 26 დღისაა.

5 დღე ორშაბათი. ქართველ. წმიდისა მოწამისა აღათასი. კათოლ. წმ. მოწამისა აღათისა. სომეხ. წმ. მარკოზ ეპისკოპოსისა. მოხსენება გრაფ მინიხისა ქართველთა გუსარის როტის მამაცობაზე და თხოვნა, რომ კიდევ დაარსონ ქართველთა გუსარის ორი როტი თითოში ას-ასი კაცით; მოხსენება აგრეთვე იმ ქართველთა როტის სიმამაცეზე, რომელთაც 1740 წ. მიიღეს მონაწილეობა ოსმალოს წინააღმდეგ ომში. მზე ამოდის 6 საათ. 52 წუთზე. ჩადის 5 საათ. 36 წამ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12 საათ. 14 წუთ. მთვარე 27 დღისაა.

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 7 თებერვალს 1890 წლისას ამ ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლებში, საჯაროდ იქნება გასყიდული უძრავი ქონება არტემ იაგორის ძის სათასაზოვისა. ეს ქონება იმყოფება ქ. ტფილისის მე-10 ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, და შეადგენს: ორ-სართულიანს ქვითკირის სახლს სარდაფებით, მეზონინით და ფლიგელით, ერთს სართულიანს სახლს სარდაფითა და მეზონინით, ერთ სართულიანს სახლსავე და ხეხილიანს ვენახს, ზომით $2317\frac{69}{200}$ ოთხ-კუთხს საჟ. ამ მამულის საზღვრები წვლილად არის აღნუსხული და აღნიშნული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის დავირავების მოწმობაში, რომელიც დაწერილია 1882 წ. 24 სექტემბერს და № 1579 უზის. ვაჭრობა დაიწყება 37,719 მანეთისა და 36 კაპეიკით. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შეუძლიათ პირობათა წვლილად შეტყობა ყოველ დღე ბანკის სამმართველოში.

(3—3)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

სამზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ესე საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ГАЗЕТУ

„КАВКАЗСКІЯ ОБЪЯВЛЕНІЯ“.

Содержаніе газеты: частныя объявленія и рекламы, которыя принимаются къ напечатанію на русскомъ, французскомъ, нѣмецкомъ, армянскомъ, грузинскомъ и татарскомъ языкахъ; свѣдѣнія, имѣющія справочный характеръ, какъ то: получаемыя въ Тифлисѣ телеграммы „Сѣвернаго Агентства“, биржевыя, промышленныя, торговыя и коммиссіонныя справки, полицейскій, думскій и судебный бюллетени съ извѣстіями о банкротствахъ и торговой несостоятельности, некрологи, списки недоставленныхъ телеграммъ, такса на продукты, календарь время отхода и прихода поѣздовъ з. ж. дороги и пароходовъ на Черномъ и Каспійскомъ моряхъ, а также срочныхъ экипажей по военно-грузинской дорогѣ; врачи и врачебная помощь, театры, зрѣлища, увѣдомленія о засѣданіяхъ обществъ, актахъ, юбилейныхъ и другихъ торжествахъ и народныхъ праздникахъ, свѣдѣнія о полученныхъ грузахъ и товарахъ и т. под.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

**Городскимъ подписчикамъ:**
На годъ съ доставкой на домъ. 1р. 20к.
На полгода . . . . . — 80 „

**Иногороднымъ подписчикамъ:**
На годъ съ пересылкою. 1 р. 80 к.
На полгода „ . 1 р. —

Городскіе подписчики, получающіе какія—либо изданія, выходящія въ г. Тифлисѣ, **платятъ**, по предъявленіи ими квитанціи на подписку въ контору газеты «**Кавказскія Объявленія**» и въ отдѣлъ, лишь **60к въ годъ**.

Для прочтенія „Кавказскія Объявленія“ предлагаются публикѣ въ вагонахъ тифлисск. трамвая, въ подъѣзжающихъ къ Тифлису поѣздахъ закавк. ж. дор. изъ Баку и Батума и срочныхъ экипажахъ по военно-грузинской дорогѣ. За помѣщеніе объявленій взимается по 4 коп. со строки петита. Подписавшіеся же на газету „Кавказскія Объявленія“, при сдачѣ объявленій не менѣе 15 разъ, пользуются большою скидкою по соглашенію съ конторою. Траурныя объявленія лишь на первой страницѣ; **плата за каждый разъ по 2 рубля**.

Контора и редакція газеты „Кавказскія Объявленія“ помѣщаются на Гановской улицѣ, при конторѣ нотаріуса **А. Г. Мамиконова**, а отдѣленіе: на углу Головинскаго проспекта и Барятинской улицы, въ павильонѣ Хиддекеля.

Адресъ для телеграммъ: Тифлисъ, „Кавказскія Объявленія“.

(5—1) Редакторъ-издательница **Н. П. Слинко**

Доз. ценз. Тифлисъ 3-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Нолетаев а уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.